

8 მაისი 2014

NDI-ის კვლევა: ირაკლი ალასანია ყველაზე მოწონებადი სახელისუფლებო ლიდერია; დავით ნარმანია აშეამად ლიდერობს თბილისის მერის არჩევნებში; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად მიიჩნევა

თბილისი - თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ყველაზე მოწონებადი პოლიტიკური ლიდერია ქვეყანაში და მისი მოწონების მაჩვენებელი 67 პროცენტს შეადგენს. პრემიერ მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კოალიციის შემდეგი ყველაზე მოწონებადი ლიდერია და მისი მოწონების მაჩვენებელი 64 პროცენტია, მას მოსდევს პარლამენტის თავჯდომარის დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი – 61 პროცენტი.

ყველაზე მოწონებადი ოპოზიციური ლიდერია საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, რომლის მოწონების მაჩვენებელი, ბიძინა ივანიშვილის მსგავსად, 51 პროცენტია. ყველაზე მოწონებადი ქალი ლიდერები არიან ქართული ოცნების წარმომადგენელი პარლამენტის წევრები ეკა ბესელია და თინათინ ხიდაშელი, რომელთა მოწონების მაჩვენებელი, შესაბამისად, 47 და 46 პროცენტია. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მოწონების მაჩვენებელი 46 პროცენტს შეადგენს.

გამოკითხულთა 85 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოკითხულთა 51 პროცენტმა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა. თუმცა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა დედაქალაქის გარეთ უფრო მაღალია.

გამოკითხულთა 60 პროცენტი აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მიიღებდა მონაწილეობას ხვალ რომ ჩატარებულიყო. ეს მაჩვენებელი 10 პროცენტით ნაკლებია 2013 წლის აგვისტოს წინასაარჩევნო კვლევის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 70% წავიდოდა საპრეზიდენტო არჩევნებზე, ხვალ რომ ჩატარებულიყო.

კითხვაზე ხვალ რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდა ვის მისცემდით ხმას, მათ შორის ვინც მიიღებდა მონაწილეობას მთელი ქვეყნის მასშტაბით, ქართული ოცნება ლიდერობს 48 პროცენტით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჩვენებელია 12 პროცენტი, ხოლო კოალიციის ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია და ლეიბორისტული პარტიის მაჩვენებელი – 4 პროცენტი. გამოკითხულთა 30 პროცენტმა არ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, ხოლო 2 პროცენტმა განაცხადა, რომ ხმას სხვა საარჩევნო სუბიექტს მისცემდა.

თბილისის საკრებულოს არჩევნებში, კოალიცია ქართული ოცნება ლიდერობს 43 პროცენტით, მაშინ როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჩვენებელი 9 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს კოალიცია ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის მაჩვენებელი 8 პროცენტი და ლეიბორისტული პარტია 3 პროცენტით. რესპონდენტთა 33 პროცენტმა არ დააფიქსირა საკუთარი არჩევანი, მაშინ როდესაც 4 პროცენტმა სხვა საარჩევნო სუბიექტები აირჩია.

კითხვაზე თუ ვის ისურვებდნენ თბილისის მერად, იმ ადამიანების 39 პროცენტმა, ვინც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, დაასახელა კოალიცია ქართული ოცნების კანდიდატი დავით ნარმანია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ნიკოლოზ მელიას მაჩვენებელი 10 პროცენტია, მას მოსდევს კოალიცია ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია კანდიდატი 9 პროცენტით და ლეიბორისტული

პარტიის კანდიდატი 2 პროცენტით. იმავე კითხვაზე რესპონდენტების 36 პროცენტმა არ დააფიქსირა საკუთარი არჩევანი, ხოლო 3 პროცენტმა სხვა საარჩევნო სუბიექტები აირჩია.

„კოალიცია ქართული ოცნება რჩება წამყვან პოლიტიკურ ძალად, როგორც არჩევნებში კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, ასევე, მისი ლიდერების მოწონების მაჩვენებლების მხრივ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ამ კვლევის სავსე სამუშაოების ჩატარების დროს, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორსა და ზუგდიდში მერობის არჩევნებში მეორე ტურის ალბათობა დიდია“ –ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, - შემადგენელ ნაწილს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და სიღარიბე. კვლევა ამა წლის 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,942 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.1%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org